



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1097 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №629 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №629 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ოკუპირებული ტერიტორიის გამოყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების გაზიფიცირებისათვის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს გამოუყოს 18 849 650 (თვრამეტი მილიონ რვაას ორმოცდაცხრა ათას ექვსას

ორმოცდაათი) ლარი, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ კაპიტალის გასაზრდელად.“

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ლარიბაშვილი

